

# სნობის ოპორსაჲ

## სურათებიანი დამატება

დამატების № 310.

კვირა, 24 აპრილი 1905 წ.

ნაშთის № 2803.

### მოკალაოება

(დასასრული \*)

— ძებო, განაგრძო ქალმა: მე ჩემი თავი ბედნიერად მიპაჩნია, იმით რომ დღეს თქვენთან ვარ, და ვაგივანე ის დიდებული სიტყვები, რომელნიც მხოლოდ წიგნებში ამომიკითხავს და რომელნიც ცხოვრებაში აქამინ ვატარებული არ ყოფილან „სიტყვა უსაქმოდ მკვიდარი არისო“, „უთქვამს კაცობრიობის დიდებულ მასწავლებელს და თუ ჩვენ სიტყვებს—მე ვამბობ ჩვენს, რადგანაც მეც თქვენთან ვარ—უშვირად, შეუდრეკლად, საჭიით აღვასრულებთ. აღვასრულებთ იმას, რაც ამ ერთ წუთის წინ სამართლიანად გვიკარნახა ცხოვრებამ და გონიერებამ ჩვენის ამხანაგის პირით, ხმა გრისა, ხმა ღვთისა არისო, ესე იგი ხმა სამართლისა და ქვეშაობისა და ვის შეუძლია ის კემშარიტი და სამართლიანი გმარება ამოდხრას თქვენში, რომელიც ასეთის სიმძლავრით ამოსკდა დღეს თქვენ, მშრომელ ხალხის გულისაგან. ვის შეუძლია, ძებო, ვაგივანე რწმენით არწმენით კი ვითებს შეფანტვას, ნათქვამია. მას აღვიპურეთით იმ რწმენით, რომ შეგვიძლია იმის შესრულება, რაც წარმოსთქვა აქ ჩვენმა ამხანაგმა; ჩვენ მცნებთ ვაგიხალათ ის და ხელი ხელ ჩაკიდებულნი ვაგსწავით, შეგანობით ჩვენც მთა უკუდმართ დროის მსვლელობისა, რომელსაც შეგვარებია თვალ-აზნაურობაც, სამღვდლოებაც და პოლიტიკაც, გამოვსვლტეთ, ჩვენვე გამოვეშალოთ იმის სიმძიმე, ესლავე უარყოფით ის, არ ველოდით არავისგან შეფლას და განვითავისუფლდეთ. ძალი ერთობაში და სიმართლენშია, ძებო, და სიმართლე კი ის არის, რომ მშრომლის არ შიოდეს, მუშის მიწა ჰქონდეს სამუშაო. სანამ იქნება პოლიცია, სასამართლო, თავალ-აზნაურობა და სამღვდლოება, სანამ ჩვენვე მზით ვიქნებით ვაგივანეთ ჩვენი იმითი სასლავთებთა, რომლის შტრიკებზე დამყარებული იმითი ძალღონე, მანამდის ვერ ვეღირებთ თავისუფლებას. მას შეგასრულოთ, ძებო, ჩვენი მოვალეობა და გვახსოვდეს, რომ ვინც თავის ღიადს მოვალეობას პირნალოად ასარულებს, ბედნიერობა არის და გამარჯვებაც იმისია; მხოლოდ ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაითვალისწინოს, რა მოვალეობას აკისრებს მას ცხოვრება, ამას ვაუმარჯოს ერთობას და სიმტკიცეს ძებო, ამხანაგებო..

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!.. ალტაცებით დობიაროლა ტარის ცეხით ხალხმა. ეხლა ესენი არ გავდენ ქედ ლიბორლის, უშირდ ბრძანების აღმასრულებელს ხალხს იმითი აღაძნული სახე იმელით იყო გამსქველული, თვალები ვაბრწყინებულნი; დაფთოვით ჩოხებს და კაბებს დაპყრებოდათ განთიადის გამაცოცხლებელი ნაში..

ხალხი დაშალა, წაიღო-წამოვიდა ყოჩაღად, თავი აწეული. როცა გაბრეულ ცოლ-შვილით შინ დაბრუნდა, მოხუცს კიდევ არ ეცინა.

ქათმები და გოკები მეორე დღესაც უკან მოიყვანეს ბავშვებმა. ვარდნიდანაც არაფერი ამხავი მოიღოდა. მაგრამ ოჯახში მიიწვ უყოჩაღის სულის განწყობილება იყო და ყველა რაღაც კარეს მოელოდა, ბავშვებიც უფრისებს არ უფარდებოდნენ და ეკითხებოდნენ უფრისებს კრების ამბებს. გაბრეულ ყველაფერს უხსნიდა ბავშვებს და უმატებდა:

— ა, ბავშვ, თქვენა დემრთს ნამდვილი ბედი მუყუცემია, კაცური ცხოვრება მოგვლის.

მხოლოდ მაღლის აწუხებდა ხანდისხან რაღაც უსიამოვნო ფიქრები. მას რაღაც ჩარჩა გულში დედის სიტყვები— „რამე უნდა შეგხედო ოჯახსო“—და შიშის იმედი ოჯახს გაიტანსო. ის მაშინვე მოიგონებდა შემხალბებულზე მღვარა ახალგაზდა ქალს, რომელიც ვატაცებით ამტკიცებდა, რომ ბედნიერება მოვალეობის აღსრულებაშია, რომელიც თავის თავს უნდა დააკისროს ყოველმა გონიერმა ადამიანმაო. მაღლის მწავე გრძნობით ეცხებოდა გული და გაჯავრებული ფიქრობდა: „ღიბა, ანეტრიაზა ადვილია ამის თქმაო, ესე შინ ბატონსაგით, ამა ჰყავდეს საქმირა და შერე კიდევ ჩემი გიგონანიაო! აქ მაღლის წარმოუღებოდა თვალწინ გვიო, ისეთი, როგორც ნახა მან უკანასკნელად: ახალგაზდა, ბედნიერი, მოსიყვარული, აღზნებულის თვალგებთ; ყველაფერი ავიწყლებოდა ქვეყანაზე და გრძნობდა, რომ არაფრის გულისთვის არ დასთმობა მას და სწუხება იმაზე, რომ ნადავლმეგეს შუამავლები მოვლენ და შინ წითელი კვერცხი და პასკა არ ექნებოდა იმით ვასამასპირებოდა. შიშის ბავშვებმა ვატაცენს ერთი გოკი და კვერცხის საღებავი და პასკა ამოიტყნეს. ამან ყველა ალტაცებში მოიყვანა.

— ვარდნილიც მოვიციანს პასკას, ნახათ აგერ, —სთქვა გაბრეულმა. ახლა ყველა დარწმუნებული იყო, რომ რასან ამდენ ხანს არაფერი ამხავი მოვიდა იმისგან, დღეს უსათუოდ თითონ ჩამოვიდოდა.

ღიღის ფაცხუტით ისილილეს და ნასილილევს ყველანი შეუდგნენ სახვალთო საშადადის: ვინ კვერცხს ღებავდა, ვინ ქათამს წნიდა, ვინ ნივთს არჩევდა, ელისაბედ „ტალისისთვის ღამის გულს“ ზღვდა. გაბრეულმა მოიგინა და შმხურეს დაუწყო თო. მოხუცი იქვე იჯდა მომადლო სკამზე. თეთრი, გბქელი წვერი გაშლიდა გულზე; თავზე განიერი მავლის ქუდი ჩამოებურა და კრილოხანს ათამაშებდა. რაღაც სიამოვნება ესატებოდა დანაოქებულ სახებზე. სიამოვნებით უღვებდა ყურს ბავშვების ტიტკიც და ხანდისხან თითონაც ჩაერეოდა ლაბარაკში.

— თლა ხუტესს ჰგავს ბაბუაი ამ ქულში და ამ კრილოხანში, —სთქვა მაღლიმ.

— ვაი, ბაბუაე, მაღო, შენ არ იყო და ამფემოდა წროულს უტრნის კრეფაზე?.. —უთხრა შვილიშვილის სიცილით მოხუცმა.

— ოჰო, ჰო, ჰო, ბაბუეს რომ ღიებართა, —დაიყვირა სწრაფად პატარა გიტომ, —ბაბამ ყურნის საკრეფში წავგიყვინა, მე გიდღეს უცვლილი, ბაბუაი გოღორთან იჯდა და ცავდა, ღორმა არ წააქციოსო. შარის პირში ვიყავით. ბაბუაი ეს ასე, ახლა ორამა, ა, ამ სკამზე და ათამაშებს ამ კრილოხანს. გვიხედდ, გიდღელი ღიებმა ბაბამ, გვეციქტო გამოსაცვალათ და რომ დავბრუნდი, შეხებდენ რომ ვინცა ქაიხებდა ქე ჰყოცნიან ბაბუეს ხელზე..


— ჰე, ჰე, ჰე, ხუტესი ვფონენ, ხუტესი, ბაბუაე, —განაგრძო ბოხუცმა, —ქე ვარ ასე და ვხედავ, ვინცხამ დაეფრინდა ხელზე, მე ვიფიქრო, კრილოხანს მართლეს მეთუ და მაშინათე გამოცსწიე ხელი, მარა ამ დროს ქე არ მარკო და, შენდინა ბამაო, მითხრა იმ ოჯახ აწუნებულმა..

ყველამ გულიანიად გაიხარხარა, ყველაზე მეტს თითონ მოხუცი იცინოდა.

— არა, განაგრძო მან, მას მერე არც ისე დიდი ხანი გასულა, მარა თურმე კიი აზრს ჩატარა გუუჯღებმა კაცს ძეა-

\*) იხ. „დამატება“, № 309.

# გურიის ცხოვრებინ



გურია.—ტურული ქალი საადგომო გოჭსა სწავს ნენხლუ.

ლსა და რბილში. თუ მართლა ქრისტეს მოადგილე ხარ, ქე უნდა იყო ქრისტესავით.

— არა, ბაბავ, აწი, შენ, ხელზე აღარაკაცი არ გაკოცებს,—გაუხუმრა მის გამრიგელ.

ამ დროს ყველას ყურადღება მიექცია ძაღლების ყუფამ. კიშკართან გამოჩნდა ვიღაც ქალი, რომელიმაც პირდაპირ სახლისაკენ გამოსწია.

— ვინაა, აი ჩვენსას მუა ვინცხა... „საქმეზე“ იქნება გაბრიელ,—სთქვა ელისაბედმა და მნიშვნელოვანად შეხედა ქმარს.

— ნენავ, აი სოფიოა, სოფიო, ბათომიდან ჩამოსულა.— წამოიძახა მადიოს უმცროსმა დამ და წამოვარდა შესახვედრად.

— ვალხა ამბავი მოგიტანე,—დაიწყა სოფიომ პირველ მისაღობეს შემდეგ—ვარდენია დევიტირეს და ერთი წლით რუსეთში გადაასახლეს... ბართთი გამომატანა აგერ...

ამ მოულოდნელმა მუხუბრებამ ყველას ხმა ჩაუწყვტა, გულ-დათუთულ დღვას წასქდა ჩუმში, უხმო ტირილი, ცრემლები დაპალუბით გადმოსკდა თვალ-თავან.

სოფიომ განაგრძო:

— კაი დღეს არ წავამწორებდი, ჩემო ელისაბედ, მარა ხვალ დილას ჩემ დასთან მივალ, იქიდან მერე დავბრუნდები, აქანაი აღარ შევიციდი და მანამდი... მარა თავს ნუ მეციკავ, ელი-საბედ, ამისანა დროზე გულადობა გემართებს ყველას.

— ერთი წვეციკითხით, რას იწერება ბლანაი,—სთქვა თავ ჩაღუნულმა მოხუცმა,— ეგება არც ისე გლახათაა საქმე, ჩემო რბილო.

„ჩემო საყვარელო ბაბუავ, ბაბავ, ნენავ, მადიო, ლიტავ და ძამებო,—იწყობოდა წერილი,— ჩემი ერთადერთი სასთუარი იგია, რომ ჩემმა გადასახლებამ თქვენ არ შეგაზინოს და არ შეგაწუხოს. გასოვდენ, რომ ყველგან ხალხია, აღმიანები, ჩვენი მსგავსი და ჩვენი ძმები და ყველგან თავს გვეკოტან. ამას გარდა ერთი წელიწადი მაღე გუავ. ეგება მტერთმა ქნას და საქმე ისე დატრიალდეს,

რომ უფრო ჩქარაც გავწინდებოდა. გულს ნუ გეიტხთ, და დაწყებულ ჩვენ საერთო საქმეს ნუ ველაღატებთ. იცოდეთ, რომ მე არაფრის არ მეშინია და ყველაფერი კის იმიდი მაქვს. ჩემი გულის საწყუხარა იგია, რომ თქვენ ველაფერს შეგმწევი. მარა სოფიომ დაპირდა, მადიოს ბათომში ადღილს უშონიაო და ჩემ მაგიორ შეწყობას იგი გავიწყეს. დო მადიო, მოაწია დროი, რომ ჩვენ ორივემ უნდა ავსარყოლოთ ჩვენი მოვალეობა, უნდა ვემსახუროთ საერთო საქმეს შევეწიოთ ოჯახს. ერთსაც და მეორე შენსა ჩემს უარესად არ შეასრულებ, მე ამანი დარწმუნებული ვარ და ამისა მივალ უცხო ქვეყანაში ასე მუბუქის გულით. გაკოცებს ყველას სიყვარულით თქვენი ვარდენა.“


— ეე, ბაბუავ, ხომ გითხარი... მადლობა ლერტოს, ამას რომ შეგმსწარი; რას ჩივა აი გუშინდელი ბლანაი დიდ დობრძენებულ კაცსავით!—წარმოსთქვა მოხუცმა, იმისი სახე იმეღით იყო გამსქვალული.

— ყოხილ, ყოხილ, ბიჭო ვარდენა!—შესძახა ალტაცებით ვარდენამ,—ხომ გითხარი, ქალი, ჩვენისანი შვილები წყლში გავემართავს მეთქი, რა ოქროს სიტყვებს იწერება, მიხიო?—მართა მან ცოლს, რომელიც ახლა ილიმეზადა, მაგრამ ცრემლები ისევ განაგრძობდნენ დღვას იმის დამქნარ ლოყებზე.

— საშიში დასურ არაფერი არაა,—დაიწყა სოფიომ,— მადიოხა მართლა ეიშონე კაი აუღილი; ბაღენის მომწველიად იქნება ეს ოჯახში. სხვა დროზე არ გავიპირდებოდი ბათომში ქალი შვილის გავზანას, მარა ვაჭირებულ რას იზამს კაცი. დღეს იმიხა ვადმევიარე თქვენთან, რომ თანშაფათს ან ხუჩაფათს ვამევიარე ბათომში წასავალათ და მადიო ხაზირი დამახვედრეთი...

— არ მინდა მე ბათომში წასლა... არსად არ წავალ... არ შემეძლია... მე... ნაღდგომეგს... მე...

ყველამ მადიოსკენ მიიხედა. მადიო საშინლად აღუღებული, გაწითლებული, სსოწარცველილებით დავარდა მიწაზე და გულამოკენით დატრიადა სლოკინით.



გურია.—სლად (სსინიხდელ).

გაბრიელ თვალის დახამამების უმალ განდა შეილოთან, მოაბრუნა იმისი შეწყუბებული სახე და სიყვარულით უთხრა:

— ბაბავ, რავა, შენ თუ არ გინდა, ძალს ვინ დავატანს, შეილო, ნუ წახებო, ბაბავ...

— რეიხა ტირი, ბაბუავ, რაც არ შეუძლია კაცს, იგი არ უნდა ქნას მისდღემი; რაც შეუძლია ე, იგი უნდა ქნას.

შენც, ბაბაე, ნუ ხამ იმას, რაც არ შეგიძლია. ნუ წახვალ ნურსად და ნუ იტირებ. მე ავერ თოა მეტი ბარგი ვარ ოჯახიხა, ბაბუაე, მარა ღმერთს მაინც არ ესკოდაე, არ ვტირი. რომ შეგეძლოს რამე, ამის უკეთეს დროს როდაის ვიშინი, მარა ტყუილი გვიღო მაწოვს... ნუ ტირი, ბაბუაე, ნუ ტირი...  
 მაილომ მიფერებინა ხელები თვალბეზე და ტიროდა. დედა იჯდა მისთან, უსვამდა თავზე ხელს და ნაღვლიანის ხმით ნელა ეუბნებოდა:

— თოა რომ შიშვლით დავწყტობ, ნებაე, ძალითაი, თუ არ გინდა, არსად არ გაგვჯანია, ნებაე, იცოდე აი...

ცხოვრება ყოველთვის თავისას ითხოვს და რაც უნდა დიდი ჭირ-ვაჩაში, ჯავერი, ან სიხარული ჰქონდეს ადამიანს, ცხოვრების წვრილიან მოვლენებს მაინც უნდა გაუწიოს ანგარიში და ძალა-უნებურად უნდა ჩაეხდეს დროთა მსვლელობის ფერხულში. გაბრიელის ოჯახში, მოხუც ბაბუადან დაწყებული პატარა შვიდი წლის შვილი-შვილამდის, ყველანი გრძობდნენ, რომ რაღაც მოხდა იმათთვის დიდწინაშეწოდებანი და კიდევ რაღაც უნდა მოხდეს, მაგრამ საყოველღეო აფინჩაინი და სახრუნავი თავის რჩენის შესახებ უწინდელი რჩეობა და ყველა გრძობდა, რომ ტყირთად უნდა დაწვევს ასეთსავე ნაწერად მშერ-მწყურვალს ხალხს და ან თითონ უნდა გამოინახოს რამ სასარო.

პურის ფქვილი თავდებოდა ტომარაში. ფული იმით სრულად არ გაანდნა და ერთადერთი იმედი მოესპოთა. თუმცა ყველანი სცილობდნენ ყოჩაღად ყოფილიყენს, მაგრამ, პაწია ბევრებს გარდა, ყველას ლოღივით აწვა გულზე ეს შიშიე ფიქრი. ნამეტნავად სიმწყვეტს გრძობდა მაილო, რომელიც ყველას არიდებდა პირს. აბლუკებული, ხან რაღაც გაშტერებული, მოღვინვრად დადიოდა.

ბათიშიმ წასვლის შესახებ ხმისაც არაიენ იღებდა, მაგრამ მაილო გრძობდა, რომ დედა ადევნებს მას თვალს და ამწნებს ნამტირალეე, დასიბუღ თვალბეზე, თუმცა სცილობს არ გააგებინოს ეს შვილს და ეს კიდევ უფრო უქლავად გულს. ქალს რტყენოდა, ურისხდებოდა გულში მშობლებს, რომლებმაც თითქოს განგებ ჩააყენეს ამ მღვამარგობაში, თითქოს მიატრავეს ის საღღაც უღამბურ ტყეში, რომ თითონ მარტო ვაიკვილოს გზა. მაილო უფრო და უფრო იხევედა გულს, სწულდა და იშყყებოდა ყველას. ის ინსტიტუტურად გრძობდა, რომ იმის ცხოვრების სასწორებს ერთის მხრით

აღღვამის მესამე დღე იყო. მოხუცი, გაბრიელ და ციკი-საბედი ისხდნენ სახლის წინ და ბაასობდნენ. მაილო სახლში რადაცა ოჯახობდა და ალაგებდა. ქიშკარაში ორი კაცი შემოვიდა. მაილო მაწინეე იცნო, ერთი გიგოს ბიძა იყო. ის საშინლად გაფიქრდა, დამარბაცა და დაგარდა ჯორკოზე. უცებ ისეე წამოხტა, ჩამოსვა ხელბი პირზე: „ღმერთო, მომეხბაე, მასწავლე რა ვქნა!“ — წარმოსთქვა მან ნელის მუღარით და გაგარდა ქვედა კარში.

კარგა ხანი იჯდა დეღის პირას და დაეინებით ჩასცქეროდა დღის მღვრეე წყალს, თითქო იქ ეძებდა თავის ამოკანის ახსნას, რომ მოეხმა მამის ძახილი. მაილო აუტქარბოდა ანდა და წამოვიდა სახლისკენ. პირი მოკუ-მული ჰქონდა, თვალები უღვავდა, გული უტყვებდა. კარებთან ერთი კიდევ შესდვა, გაისწორა თავზე მოქსოვილი „სამაყურა“ და შევიდა სახლში. აქ ისხდნენ სტუმრები. წინ პასეა, წითელი კვიტებები და დღის ეღვათ. ყველა თუ არა მაილო, სტუმრები, ორიყენი, ადგნენ, იღეს სვერცხები თეფშინად და მიეგებენ ქალს.


— ქრისტი აღსდვა, ბიძაიე!  
 — ქეშმარიტად! — მიუგო მაილომ ხმის ოღნაგის თრთო-ლით, ამიღო გიბინდე კვერცხი შეუცვლია, და აკოცა ჯერ ერთის და მეერ მეორე სტუმარს.

— მაილო, ბაბაე, რადა ბევრი გაგაგებლო, — მიმართა გაბრიელმა შვილს, როცა სტუმრები დასხდნენ თვიანთ ალაგას და ფერმკრათილი მაილო მოუჯდა ბაბუას გვერდით, — აგი პატიოსანი სტუმრები უფრო შენი სტუმრებია, ბაბაე: ლეეან ბარამამეს გამბუტჯანია და შენ თავს გვთხოვს გიგოზა საცოლოდ. ოჯახი კაი აქ, ბაბაე, და გვიოს ამბავი შენ ქე იცი, იფიქრე, ნუ აქარბები და მიითახი რა შუუთავილო. შენ რაეც გინდა, ისე გადასწყვიტე, თქენი ახალ თაობის სურვილი აგია, ბაბაე, და სამართლიანია: ქმართან შენ უნდა იცხოვრო და შენ უნდა გადასწყვიტო აი საქმე...

სტუმრები და დედა შესტკაროდნენ მაილოს მოლოდინით, ქალი იჯდა თავ ჩაღვრული. რამდენსამე წმას სირიუე იყო.

— ბაბაე, ეგება გინდა ცაკე ჩემთან, ან დედაშენთან მოლოპარკება?  
 მაილომ ნელა ასწია თავი. გაფიქრებულ სახეზე გადაწყვეტილება ეხატებოდა და მტკიცე ხმით მიუგო მამას:

სენებები მხარეულთა გაფიცვის გამო



საკუთარი მენდირებმა იყო და მეორეს მხრით ზნეობრივი მოვალეობა. მან არ იცოდა, რომელმა მხარე უნდა დასწო-ნოს და ეშინოდა ამის გადაწყვეტა.

— არა, ბაბაე, ცაკე მოლოპარკება არაა საქირო. მე ჯერ არ ვთხოვდები და ლეეან ბარამამეს, გათხოვ, უბრი შუუთავილო.

სენებლებმა იხილა მკა ვერტლუბ.

შეორე დღეს, საღამოს, მზე ჯერ კიდევ კარგა მალა იდგა, როცა სოფიო და მადიო ჩავიდნენ საღებურზე. ხალხი ბუზივით ირეოდა, ჩქარობდა, ფუსფუსებდა.

ჯერ ტფილისში მიმავალ მატარებელს უნდა გამოეყოლო და, რადგან აღრე იყო, ჩვენი მგზავრები ჩამოსხდნენ პლატფორმის ბოლოში გრძელ სკამზე. კოტა ხნის შემდეგ მადიოს ჯარი ფეხის ხმა მოესმა, მოიხედა და განცვიფრებულმა დაალო პირი. რამდენიმე კაცს, გარს შემოხვეოდნენ „ხიშტიანი“ საღდათები და ყაზახ-რუსები; მაგრამ იმას კი არ გაუყვირებია მადიო, რომ თავისი მეზობლები დაინახა დაქუროლი; ის გააკვირვა მხოლოდ იმან, რომ იმათში ანეტა ცერია ანეტა მოდიოდა ყრჩაღის ნაბიჯით, სრულიად დამშვიდებული და დაინახა თუ არა მადიო, გაიღიმა და დაუქნია თავი.


მადიო თითქოს ძილისაგან გამოერკვია, წამოვარდა და გაჰქანდა ახლოგაზრდა ქალისაკენ.

— საით? არ შეიძლება! — დაუყვირა მას ყაზახ-რუსმა და დაუქნია მართახი.


მატარებელი ქშენით მოსრილია და გაჩერდა საღებურთან. „დაქორულები“ ყველანი შერეკეს დრკინულ ფანჯრიან ვაგონში. ხალხს, რომელიც მოაწყდა მათ სანახავად, ყაზახ-რუსები მათრახებით და ღონღლით ერეკებოდნენ. სანამ მატარებელი არ დაიძრა და წავიდა, მადიოს არ მოუშორებია თვალები ვაგონისათვის, მაგრამ ანეტა ვეღარ დაინახა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი მადიოსაც მიჰქაროლებდა ბათუმისაკენ. ის არ იყო არც მხიარული და არც მოწყენილი და სრულიად არ ჰგავდა იმ ცქრიალს, უღარდელ გოგონას, როგორც ფრიდონ ფარფარიშვილის ოჯახში ენახეთ პირველად. დარს დაეჩინა კვლი იმის ღამას ახლოგაზრდა სხეზე, მაგრამ მტკიცე და დიუნჯ გამოიმეტყველებაზე ემზნეოდა, რომ ცხოვრებამ ვერ დაზარა იგი.

ნინო ნაკაშიძე



რეცენზიები



რეცენზიები